

შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) დია  
კარიერული წესით მოპოვება  
სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება

დამატებითი ინფორმაცია

## ეკოპროექტი

შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების  
საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ხელმოწერა:



თბილისი, 2024 წელი

**გათვალისწინებულ შენიშვნებზე რეაგირება**

- 1. ჰიდროგეოლოგიის ქვეთავში (9.4), გეოლოგიის ქვეთავისაგან (9.3) განსხვავებით ტერიტორიის ამგებ ქანებად, სხვა გენეტიური ტიპის ქანებთან ერთად მოცემულია „სასმელად ვარგისი წყალშემცველი ჰორიზონტებით წარმოდგენილი ვულკანური ქანები“. დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს აღნიშნულ საკვლევ ტერიტორიაზე ვულკანური ქანების ტიპისა და მდებარეობის შესახებ ინფორმაცია.**

საკვლევ არეალში სასმელად ვარგისი წყალშემცველი ჰორიზონტებით წარმოდგენილი ვულკანური ქანები წარმოდგენილი არ არის. რაიონი აგებულია ცარცული მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექებით, ტერიტორიაზე ვრცელდება ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, ქვიშით, ხრეშით, თიხნარით.

უშუალოდ საპროექტო ლიცენზირებულ ობიექტზე (ორივე უბანზე) პროდუქტული ფენა წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშით, როგორც ეს მოცემულია გზმ-ის ანგარიშის 9.3 თავში და ასევე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული, წიაღთსარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში მომზადებულ გეოსაინფორმაციო პაკეტში, რომელიც დანართის სახით თან ახლავს გზმ-ის ანგარიშს.

- 2. გზმ-ის ანგარიშის 9.4 ქვეთავის თანახმად, „უბნის ფარგლებში და მის მიდამოებში გრუნტის წყლების გამოსავალი არ აღინიშნება“ და „არც 4 მ. სიღრმემდე ჭაბურღილშიც დაფიქსირებულა“. ვინაიდან, პროექტის მიხედვით სალიცენზიო პირველ და მეორე უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება დაგეგმილია 10 და 16 მ. სიღრმემდე, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების არარსებობის შესახებ. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს სად და რა სიღრმეზე მოხდა ჭაბურღილის გაყვანა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს ორივე სალიცენზიო უბნის გეოლოგიური (ლითოლოგიური) ჭრილი მინიმუმ 10 და 16 მ სიღრმემდე;**

აღსანიშნავია, რომ ლიცენზირებული ობიექტის ორივე უბანი წარმოდგენილია შემადლებული მთის სახით. ამასთან, როგორც სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ გეოსაინფორმაციო პაკეტში და ასევე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიის თავშია აღნიშნული (თავი 9.3), საპროექტო ლიცენზირებულ ტერიტორიაზე პროდუქტული ფენა წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშით, რომლის სიმძლავრე ლიცენზირებული ობიექტის პირველი უბნის შემთხვევაში შეადგენს 10 მეტრს, ხოლო მეორე უბნის შემთხვევაში 16 მეტრს.

იქიდან გამომდინარე, რომ ლიცენზირებული ტერიტორია წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშით, რომელიც დრენაჟის ფუნქციის მატარებელია, და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზირებული უბნები ნიადაგის ზედაპირიდან 10 და 16 მეტრზე მაღლა მდებარეობს, გრუნტის წყლების არსებობა

არალოგიკურია. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე 10 და 16 მეტრიანი გეოლოგიური შურფების გაყვანა მიწისქვეშა გრუნტის წყლების არსებობის დადგენის მიზნით არარელევანტურია.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიცენზირებული ტერიტორიის მიმდებარედ, ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით, რა დროსაც გაყვანილი იქნა 25 მ სიღრმის გეოლოგიური ჭრილები, გრუნტის წყლების არსებობა გამოიკვეთა ნიადაგის ზედაპირიდან 4 მ სიღრმეზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზირებული უბნები ნიადაგის ზედაპირიდან 10 და 16 მეტრზე მაღლა მდებარეობს, გრუნტის წყლები წარმოდგენილი არ არის.

- 3. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, „ტერიტორია მდგრადია და მომავალშიც ამ მდგრადობის დარღვევის წინაპირობა არ არსებობს“. იმის გათვალისწინებით, რომ ქვიშა-ხრემის მოპოვება დაგეგმილია 10 და 16 მ. სიღრმემდე, შესაძლებელია ეროზიული და გრავიტაციული პროცესების განვითარება. შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული საკითხის შეფასებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, რადგან საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ლანდშაფტის - რელიეფის მნიშვნელოვანი ცვლილება, საჭიროა აღნიშნული საკითხის შეფასება.**

ვინაიდან ლიცენზირებული უბნები წარმოდგენილია შემადლებული სახით, რომლის მოხსნასაც ითვალისწინებს წიაღითსარგებლობის ლიცენზია, მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება ეროზიული პროცესების განვითარებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, როგორც გზმ-ის ანგარიშის შესაბამის თავშია მოცემული (თავი 10.11) ლიცენზირებული უბნები მდებარეობს საპროექტო ავტომაგისტრალის სიახლოვეს, რის გამოც ლანდშაფტი უკვე სახეცვლილია და კარიერის დამუშავება და ასევე სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება დამატებით ლანდშაფტურ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება მოპოვებითი სამუშაოების დასრულება, ასევე საწარმოო დანადგარების დემონტაჟი და ტერიტორიიდან მათი გატანა. ხოლო, ტერიტორიაზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზეგავლენის შემცირების მიზნით და მის აღსადგენად, შემარბილებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებულია სარეკულტივაციო ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით, ლიცენზირებული უბნების ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სარეკულტივაციოდ, რომელზედაც მოხდება ბალახოვანი მცენარეების დათესვა.

- 4. ანგარიშში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, კერძოდ, წყაროს სიმაღლეები საჭიროებს დაზუსტებას და დასაბუთებას, ხოლო მათი დაზუსტებისა და ცვლილების შემთხვევაში, ხელახლა გადამუშავებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოში წარმოდგენას.**

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, კერძოდ, წყაროს სიმაღლეები დანადგარების ტექნიკურ პარამეტრებზეა დამოკიდებული (ანგარიშისას აღებულია ყველაზე დაბალი შესაძლო მნიშვნელობები), ხოლო რაც შეეხება სასაწყობე უბნებს, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სანედლეულე და გადამუშავებული მასალების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მასალების მიღება/გადატვირთვის, ასევე, ფორმირებული სასაწყობე გროვების სიმაღლეები შესაძლოა იყოს უფრო მაღალი ვიდრე ეს დოკუმენტშია წარმოდგენილი. აღნიშნული საკითხის წინასწარ განსაზღვრა, პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, არარელევანტურია. აქედან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშთან ერთად სააგენტოში წარმოდგენილი ზღვ ანგარიში არ საჭიროებს გადამუშავებას და განმეორებით წარმოდგენას.

**5. წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახლებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.**

საქმიანობის პროცესში, მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 120 კგ-ს და „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N 661 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წლამდე საწარმო თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის შემუშავებისგან. თუმცა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, გზშ-ის მიზნებისთვის, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, ასევე ნარჩენების მართვის პრინციპების შესახებ. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა, განხორციელდება ნარჩენების სახეობის/ტიპის მიხედვით, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დაცვით, მათ შორს:

- ✓ ვინაიდან პროექტის ფარგლებში არსებობს გარკვეული ალბათობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების (წყლის ბოთლები, ქილები, საკვების ნარჩენები და ა.შ) წარმოქმნისა - საყოფაცხოვრებო/მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით სამუშაო უბნზე განთავსდება დროებითი კონტეინერ(ებ)ი, რომელ(ებ)იც პერიოდულად (დაგროვების შესაბამისად) განიტვირთება მუნიციპალური ნარჩენების ურნებში;
- ✓ როგორც უკვე აღინიშნა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო უბან(ებ)ზე მოსალოდნელი არ არის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, თუმცა გაუთვალისწინებელ შემთხვევებში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (სახიფათო ნარჩენების დაბინძურებული გრუნტი ან/და საწმენდი ნაჭრები) სათანადო მართვის მიზნით ობიექტზე გათვალისწინებული იქნება სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სათანადო კონტეინერ(ებ)ში და აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიისთვის გადაცემა;

ინფორმაცია ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ იხილეთ ცხრილში:

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათოობის მახასიათებელი	სახიფათოობა კი/არა	კარიერის ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი რაოდენობა ტონა/ წელიწადში
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	H 14 - "ეკოტოქსიკური" H15	კი	0.01
15 02 02*	საწმენდი ნაჭრები	მყარი	H3 - B "აალებადი" H5 "მავნე"	კი	0.005
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	-	არა	0.105

**6. რადგან, დაგეგმილი საქმიანობა გათვალისწინებულია 33,3494 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, საჭიროა დაზუსტებული იყოს საკანონმდებლო საფუძველი. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებისა და უპირატესობის შესახებ.**

საპროექტო მიწის ნაკვეთზე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 17 აგვისტოს №750 ლიცენზია-ბრძანების საფუძველზე, შპს „მაქრო ქონსტრაქშენ“-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია (N750), საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქალაქ საგარეჯოსა და ყანდაურას ადმინისტრაციულ ერთეულში, „საგარეჯოს“ ქვიშა-ხრემის მოპოვების მიზნით (იხ. გზშ-ის ანგარიშის დანართი). დაწესებული მიწის მინაკუთვნი წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესის შესაბამისად შეტანილია წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდში, როგორც წიაღის ფონდის მიწა.

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის (N242) მე-8 მუხლის მიხედვით, ლიცენზირებული ტერიტორიის სტატუსის ცვლილების საჭიროება არ არსებობს. მათ შორის (პირიქით) კანონში განმარტებულია რომ „თუ წიაღით სარგებლობის ობიექტზე ან ობიექტის ნაწილზე წიაღით სარგებლობა არ დაწყებულა, შესაძლებელია შესაბამისი მიწის ფართობით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა 1 წლამდე ვადით, ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით“. სასარგებლო წიაღისეულის განსაზღვრული რაოდენობის მოპოვების შემდგომ მიწის ნაკვეთი კვლავ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შესაძლებელია იქნეს გამოყენებული.